



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება № 01-11/18

ქ. ბათუმი მ. მ. ივნივი 2019.05

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის „პროფესიული განათლების ხელშეწყობა“ კომპონენტის „კვალიფიკაციის ამაღლება“ ფარგლებში საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და რიგი პირობების განსაზღვრის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული პროგრამის „ზოგადი და პროფესიული განათლება“ (კლასიფიკაციის კოდი: 0508), ქვეპროგრამას „პროფესიული განათლების ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის კოდი: 050803).

შესაბამისად, მიზანშეწონილია ქვეპროგრამის „პროფესიული განათლების ხელშეწყობა“ კომპონენტის „კვალიფიკაციის ამაღლება“ ფარგლებში გამოცხადდეს საგრანტო კონკურსი და დამტკიცდეს: საგრანტო კონკურსის დებულება, საგრანტო კონკურსის განცხადებისა და საგრანტო განაცხადის ფორმა და საგრანტო განაცხადის სამინისტროში წარმოდგენის ვადა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსის ნაზიბროლა ბერიძე გაბაიძის 2020 წლის 16 იანვრის N38657 სამსახურებრივი ბარათისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „ზოგადი და პროფესიული განათლება“ ქვეპროგრამის „პროფესიული განათლების ხელშეწყობა“ კომპონენტის „კვალიფიკაციის ამაღლება“ ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის დებულება (დანართი N1).
2. დამტკიცდეს ქვეპროგრამის „პროფესიული განათლების ხელშეწყობა“ კომპონენტის „კვალიფიკაციის ამაღლება“ ფარგლებში წარმოსადგენი საგრანტო კონკურსის განცხადებისა და განაცხადის ფორმა (დანართი N2).

3. საგრანტო განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2020 წლის 27 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით პერიოდი.
4. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა უზრუნველყოს სამინისტროს საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების განყოფილებამ.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის. ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

მაია ხაჯიშვილი
მ ი ნ ი ს ტ რ ი



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
პროგრამის „ზოგადი და პროფესიული განათლება“ ქვეპროგრამის „პროფესიული განათლების
ხელშეწყობა“ კომპონენტის „კვალიფიკაციის ამაღლება“ ფარგლებში გამოცხადებული
საგრანტო კონკურსის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქვეპროგრამის „პროფესიული განათლების ხელშეწყობა“ საგრანტო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) კომპონენტის „კვალიფიკაციის ამაღლება“ მიზანია, ხელი შეუწყოს პროფესიული და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებაში მოქალაქეს, რომელიც ასწავლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განთავსებულ საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
2. აღნიშნული დებულება არეგულირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ პროგრამის „ზოგადი და პროფესიული განათლება“ ქვეპროგრამის „პროფესიული განათლების ხელშეწყობა“ ფარგლებში საგრანტო კონკურსის „კვალიფიკაციის ამაღლება“ გამოცხადების, საგრანტო განაცხადების შეფასების, გრანტის გაცემისა და ანგარიშგების წესს.

მუხლი 2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი ორგანო

1. სამინისტრო ახორციელებს საგრანტო კონკურსის სრულ ადმინისტრირებას, განიხილავს წარმოდგენილ საგრანტო განაცხადებს და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას მათი განუხილველად დატოვების თაობაზე.
2. სამინისტრო შეიმუშავებს და მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს:
 - ა) საგრანტო განაცხადის სამინისტროში წარდგენის ვადებს;
 - ბ) საგრანტო განაცხადისა და პროგრამული და ფინანსური ანგარიშგების ფორმებს;
 - გ) საგრანტო კომისიის შემადგენლობას;
 - დ) შეფასების კრიტერიუმებს;
 - ე) საგრანტო კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეულ კონკურსანტთა სიას.

მუხლი 3. საგრანტო კონკურსის პირობები

1. კვალიფიკაციის ამაღლება - საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებულ, საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუდმივად, ან ხელშეკრულებით მომუშავე პირს (დოქტორი/დოქტორანტი, მაგისტრი/მაგისტრანტი, ბაკალავრი ან პროფესიული განათლებით).
2. გრანტი გაიცემა იმ განმცხადებელზე, რომელიც კვალიფიკაციას აიმაღლებს/სტაჟირებას გაივლის ან მონაწილეობას მიიღებს შემდეგი სახის საერთაშორისო ღონისძიებებში: კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი, ტრენინგი.
3. გრანტი გაიცემა იმ განმცხადებელზე, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებში.

მუხლი 4. გრანტის ოდენობა და მიზნები

1. გრანტის სრული ოდენობა ერთ განმცხადებელზე არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.
2. განმცხადებელს შეიძლება აუნაზღაურდეს შემდეგი სახის ხარჯები:
 - ა) მგზავრობა;
 - ბ) ვიზა;
 - გ) ცხოვრების ხარჯი (ბინა, კომუნალური, კვება);
 - დ) სამედიცინო დაზღვევა;
 - ე) სხვა ხარჯები, რომლის მიზნობრიობაზე გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო.
3. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტს მიღებული აქვს ნაწილობრივი დაფინანსება სხვა წყაროდან, სამინისტრო განიხილავს დანარჩენი ხარჯის დაფინანსების (ნაწილობრივი დაფინანსება) საკითხს.
4. გამარჯვებული განმცხადებლისთვის ანაზღაურების გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.

მუხლი 5. საგრანტო განაცხადის წარდგენა

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სამინისტროში წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:
 - ა) შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და/ან ცნობა სასწავლო დაწესებულებიდან, როდესაც აპლიკანტი არის მაგისტრანტი ან დოქტორანტი, რომელიც განაცხადის წარდგენის პერიოდში სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
 - დ) ცნობა სამუშაო ადგილიდან, იმის შესახებ, რომ აპლიკანტი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებულ საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუდმივად, ან ხელშეკრულებით მომუშავე პირი.
 - ე) უცხოეთის მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულების/სამეცნიერო-კვლევითი და ხელოვნების ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი აპლიკანტის აღნიშნულ დაწესებულებაში კვალიფიკაციის ამაღლების/სტაჟირების გავლის უფლების მოპოვების, კონფერენციაში, კონგრესში, ფორუმში, სიმპოზიუმში, სემინარში, ტრენინგში მონაწილეობის შესახებ (მოწვევაში მითითებული უნდა იყოს ღონისძიების დაწყებისა და დასრულების პერიოდი).
2. სამინისტროში წარმოდგენილი დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე. უცხო ენაზე შესრულებულ დოკუმენტებს უნდა ერთვოდეს სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.
3. ვადის დარღვევის ან/და არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში საგრანტო განაცხადი არ განიხილება.
4. სამინისტრო უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე განუხილველად დატოვოს იმ კონკურსანტის განაცხადი, რომლის მიზნები არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს, ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს ყალბ ინფორმაციას.
5. სამინისტრო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 6. საგრანტო კომისია

1. მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საგრანტო კომისიის შემადგენლობას.
2. საგრანტო კომისია:
 - ა) განიხილავს კონკურსანტების განაცხადებს (საგრანტო დოკუმენტაციას) და ახდენს მათ შეფასებას;
 - ბ) განსაზღვრავს დაფინანსების ოპტიმალურ ოდენობას;
 - გ) დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს ინფორმაციას საგრანტო კონკურსის შედეგების შესახებ.
3. საგრანტო განაცხადის განხილვაში, შეფასებასა ან/და შერჩევაში დაუშვებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებულ პირთა მონაწილეობა.
4. საგრანტო კომისიის წევრი ვალდებულია სამინისტროს ოფიციალურად აცნობოს მე-3 მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილებების შესახებ.
5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საგრანტო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ სამინისტროსთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული კონკურსანტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შერჩევამდე, სამინისტრო უფლებამოსილია იმსჯელოს საგრანტო კომისიის წევრის შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.
6. საგრანტო კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
7. სამინისტრო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, საგრანტო კომისიაში მონაწილეობის მიღების მიზნით მოიწვიოს შესაბამისი სფეროს სპეციალისტები სათათბირო ხმის უფლებით.
8. საგრანტო კომისიის წევრი ვალდებულია შეაფასოს თითოეული საგრანტო განაცხადი მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების ფორმის საფუძველზე.
9. იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო კომისიის რომელიმე წევრი შეაფასებს საგრანტო განაცხადს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების ფორმის დარღვევით, მისი ხმა არ იქნება გათვალისწინებული ქულათა საერთო ჯამის გამოთვლის დროს.

მუხლი 7. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. გრანტის მიმღებთან სამინისტრო აფორმებს საგრანტო ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრება სამინისტროსა და გრანტის მიმღების უფლება-მოვალეობანი.
2. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება მინისტრის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფის მიერ.
3. გრანტის მიმღებმა საქართველოში დაბრუნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სამინისტროს უნდა წარუდგინოს პროგრამული და ფინანსური ანგარიში, ხარჯების/ხარჯვის დამადასტურებელ ყველა დოკუმენტთან ერთად, გარდა კვებაზე გაწეული ხარჯისა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს გაცემული გრანტის 30%-ზე მეტს.
4. ფინანსურ ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი შესრულებული სამუშაოს ხარჯთა ნუსხა და ერთვოდეს ხარჯების/ხარჯვის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი.

5. თუ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გრანტის მიმღების მიერ გაწეული ხარჯები აჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯებს, სამინისტრო არ ანაზღაურებს არსებულ სხვაობას და ანაზღაურება მოხდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯის მიხედვით.
6. თუ გაწეული ხარჯები ნაკლებია საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხაზე, გრანტის მიმღები ვალდებულია, დააბრუნოს დაფიქსირებული სხვაობა.
7. სამინისტრო არ ანაზღაურებს გრანტის მიმღების მიერ კვებაზე გაწეულ ხარჯს, რომელიც აღემატება გაცემული გრანტის 30%-ს.
8. სამინისტრო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეწყვიტოს დაფინანსება დებულებით გათვალისწინებული მიზნების შეუსრულებლობის, ყალბი მონაცემების აღმოჩენის, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი პროგრამული და ფინანსური ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები შესაძლებელია სამინისტრომ გამოიყენოს მის ვებ-გვერდზე განთავსების, საქმიანობის ანგარიშში ჩართვის, სხვა ბეჭდვით ან ელექტრონულ პროდუქციაში გამოყენების მიზნით.
10. თუ საქართველოში დაბრუნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სამინისტროში არ იქნა წარდგენილი პროგრამული და ფინანსური ანგარიში, სამინისტრო უფლებამოსილია გამოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის
მინისტრს

სახელი
გვარი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ განაცხადის ფორმას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „პროფესიული განათლების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კვალიფიკაციის ამაღლების საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით.

გაცნობებთ, რომ გავეცანი ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის პირობებს და ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.

ვეთანხმები, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში არ განიხილოს საკონკურსო განაცხადი.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი განაცხადი „პროფესიული განათლების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კვალიფიკაციის ამაღლების საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

დანართი: ფურცელი.

პატივისცემით,

განმცხადებლის ხელმოწერა _____

თარიღი _____

განაცხადის ფორმა
ქვეპროგრამა „პროფესიული განათლების ხელშეწყობა“ კვალიფიკაციის ამაღლება

ნაწილი 1

1.1 პირადი ინფორმაცია

სახელი/გვარი _____

ელ-ფოსტა _____

ტელეფონი _____

მისამართი (ფაქტიური) _____

1.2 განათლება:

დაწყება	დამთავრება	დიპლომის ნომერი	სასწავლებლის დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი

*(დაიწყეთ უახლესიდან, საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ დაამატოთ გრაფები)

1.3 პროფესიული საქმიანობა:

მიუთითეთ ყველა ის ორგანიზაცია, სადაც მუშაობდით როგორც ანაზღაურებად მუშაკად, ასევე მოხალისედ ან სტაჟიორად (დაიწყეთ უახლესიდან)

დასაქმების პერიოდი	ორგანიზაციის დასახელება	თანამდებობა

1.4 კონფერენციები/ტრენინგები/კურსები:

თარიღი	ქალაქი, ქვეყანა	დასახელება	სტატუსი	თემა

**(დაიწყეთ უახლესიდან, სტატუსი - მსმენელი, მობხსენებელი, ტრენერი)*

1.5 სერტიფიკატები:

თარიღი	სერტიფიკატი	სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაცია


*(დაიწყეთ უახლესიდან)

ნაწილი 2

2.1 სამოტივაციო წერილი

- დაასაბუთეთ თუ რატომ არის თქვენთვის მნიშვნელოვანი ქვეპროგრამაში (კვალიფიკაციის ამაღლება) მონაწილეობა და რას მოელოთ;
- ჩამოაყალიბეთ თქვენი სამოქმედო გეგმა;
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პროფესიული განვითარების გეგმა

შენიშვნა: სამოტივაციო წერილი არ უნდა აღემატებოდეს 600 სიტყვას (თაბახის ფურცელი A4 ფორმატი, შრიფტი 12, Sylfaen).



ნაწილი 3

3.1 ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ, სადაც აპლიკანტი აიმაღლებს კვალიფიკაციას

ორგანიზაციის სრული სახელწოდება
ორგანიზაციის ვებ-გვერდი
ქვეყანა
ქალაქი
შტატი/რეგიონი

3.2 დეტალური ინფორმაცია კვალიფიკაციის ამადლების/სტაჟირების შესახებ

კვალიფიკაციის ამადლების/სტაჟირების პერიოდი (რიცხვი, თვე, წელი) _____

თანადაფინანსების ალტერნატიული წყარო (არსებობის შემთხვევაში) _____

სამინისტროსგან მოთხოვნილი თანხის ოდენობა ლარებში _____

ნაწილი 4

4.1. ბიუჯეტი

N	კატეგორია	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება	შენიშვნა
1					
2					
3					
4					
	ჯამი				

ვადასტურებ, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება სინამდვილეს და საჭიროების შემთხვევაში, შემიძლია წარმოვადგინო სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტი.

განმცხადებლის ხელმოწერა _____

თარიღი _____